

მანანა ჯავახიშვილი

პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2015

მანანა ჯავახიშვილი
პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში

დამკაბადონებელი: სოფიო კველიშვილი

ყდის დიზაინი: თამარ ბასილია

გარეკანზე: პაპების სასახლე ავინიონში, XV საუკუნის
დასაწყისის მინიატურა, მეტრი დე ბუსიკოს სახელოსნო
(საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა)

© 2014 მანანა ჯავახიშვილი

ISBN 978-9941-18-221-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი	1
თავი I	
პაპობა I-III საუკუნეებში	3
ქრისტიანული რელიგიის ჩასახვა	3
რომის ეპისკოპოსი	4
რომის ეპისკოპოსები I-III საუკუნეებში, ქრისტიანთა დევნა	7
თავი II	
პაპობა IV-VIII საუკუნეებში	13
კონსტანტინე დიდი და ქრისტიანობა	13
პაპობა V საუკუნეში	20
პაპობა VI საუკუნეში	25
პაპი გრიგოლ I დიდი (590-604)	27
პაპობა VII საუკუნეში	31
ხატმებრძოლეობა და პაპობა	32
პაპის სახელმწიფოს დაარსება	33
თავი III	
პაპობა IX-XI საუკუნეებში	37
კარლოს დიდი და პაპობა	37
პაპობა კარლოს დიდის მემკვიდრეების დროს	39
პაპი ნიკოლოზ I	40
Seculum obscurum	42
ლეგენდა პაპი-ქალის იოანას შესახებ	44
საღვთო რომის იმპერია და პაპობა	45
დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების	
1054 წლის განხეთქილება	47
კლუნის რეფორმა	49

თავი IV	
პაპობა XI-XII საუკუნეებში	53
გრიგოლ VII და „პაპის დიქტატი“	53
ჯვაროსნული ლაშქრობები და პაპობა	58
რაინდული ორდენები	60
ვორმსის კონკორდატი	62
გიბელინები და გველფები	64
თავი V	
პაპობა XIII საუკუნეში	68
პაპი ინოკენტი III	68
წმინდა ინკვიზიცია და მათხოვრული ორდენები	71
რელიგიური ცხოვრების აღმავლობა, სქოლასტიკა	74
პაპები და იმპერატორები, ბრძოლის დასასრული	76
თავი VI	
პაპობა XIV-XV საუკუნეებში	80
ბონიფაციუს VIII	80
ავინიონის ტყვეობა	84
დიდი განხეთქილება	90
თავი VII	
პაპობა XV-XVI საუკუნეებში	97
აღორძინების ეპოქის პაპები	97
პაპობის ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ	105
გამოყენებული ლიტერატურა	111

შესავალი

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს პაპობის ისტორიას შუა საუკუნეებში. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია წარმოუდგენელია პაპობის გარეშე, რომის ეპისკოპოსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთევროპული ისტორიისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

პაპობისა და კათოლიკური ეკლესიის ისტორიის შესახებ ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირემ წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნის სურვილი გამიჩინა.

სახელმძღვანელო ქრონოლოგიური პრინციპით განსაზღვრულ თავებადაა დაყოფილი. პირველი თავი – პაპობა I-III საუკუნეებში, ეს არის ქრისტიანობის და შესაბამისად, პაპობის დაბადების ეპოქა. ამ პერიოდში პირველი ქრისტიანები დევნასა და შევიწროვებას განიცდიან. ეს პერიოდი პაპობისთვის გადარჩენისათვის ბრძოლის ეტაპია. მეორე თავი – პაპობა IV-VIII საუკუნეებში, ეს არის ქრისტიანობის აღიარების, ლეგალიზაციის, ოფიციალურ რელიგიად ქცევის პერიოდი. ეკლესია კატაკომბებიდან გამოდის და იწყებს აქტიურ მოღვაწეობას, ის ბარბაროსებსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ლავირებით ცდილობს თავის დამკვიდრებას. მესამე თავი – პაპობა IX-XI საუკუნეებში, ეს არის ჯერ კარლოს დიდის, ხოლო შემდეგ საღვთო რომის იმპერიების მიერ პაპობის ძალაუფლების შეზღუდვის მცდელობის ხანა, თუმცა, პაპობა ცდილობს საეკლესიო რეფორმის გატარებას და სასულიერო წოდების ავტორიტეტის ამაღლებას. მეოთხე თავი – პაპობა XI-XII საუკუნეებში, ეს არის გრიგოლ VII-ის „პაპის დიქტატის“, პაპობის მხრიდან თეოკრატიული პოლიტიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ხანა, როდესაც პაპი ცდილობს მთელი კათოლიკური სამყაროს ლიდერის ფუნქცია საკუთარ თავზე აიღოს. მეხუთე თავი – პაპობა XIII საუკუნეში, ეს არის ინოკენტი III-ის პონტიფიკობის პერიოდი, როდესაც პაპობა თავისი სიძლიერის ზენიტს აღწევს. მეექვსე თავი – პაპობა XIV-XV საუკუნეებში, ეს არის ავინიონის ტყვეობისა და დიდი განხეთქილების ხანა, როდესაც პაპობის ავტორიტეტის დაცემას საერო ხელისუფლების გაძლი-

შესავალი

ერება, სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება უწყობს ხელს. ავინიონელი პაპები ძირითადად ეკონომიკურ-ფინანსურ პოლიტიკას ეწევიან, ერთმანეთს უთავსებენ პაპი-მოხელისა და პაპი-ბანკირის როლებს. და ბოლო, მეშვიდე თავი – პაპობა XV-XVI საუკუნეებში, ეს არის ალორძინების ხანის პაპების ისტორია, როდესაც მათი მოღვაწეობა დაკარგული გავლენის გამო ძირითადად მეცენატობით შემოიფარგლება, მოგვიანებით კი პაპობა ცდილობს რეფორმაციას კონტრრეფორმაციით უპასუხოს.


წიგნი განკუთვნილია როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის.

თავი I

პაპობა I-III საუკუნეებში

ქრისტიანული რელიგიის ჩასახვა

ქრისტიანული რელიგია I საუკუნეში ჩაისახა პალესტინაში, რომელიც იმ პერიოდში რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.¹ პალესტინელი ხალხი მესიას ელოდა, რომელიც მათ დამოუკიდებლობასა და ხსნას მოუტანდა.



ჯვარცმა
(მათეას გრუნევალი,
XVI საუკუნე)

ჰეროდეს მმართველობის (ძვ.წ.აღ.37/36-ახ.წ.აღ.4) პრორომაულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამყარა მესიის იდეა პალესტინელ ხალხში. სწორედ ამ დროს ჩნდება ქრისტიანობის ფუძემდებელი – იესო ნაზარეთიდან. მისი მოძღვრება წარმოდგენილია ოთხთავში, კანონიკურ სახარებებში, ხოლო ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმები ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლოებშია ჩადებული. კათოლიკობის სწავლების წყარო-

1. პალესტინა რომის იმპერიის ბატონობის ქვეშ ძვ.წ.აღ. 63 წელს მოექცა.

ებად ბიბლია და წმინდა გადმოცემა (ტრადიცია) ითვლება. წმინდა წერილი (ბიბლია) კათოლიკობაში, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, ბიბლიის ლათინურად თარგმნილი ვერსიის – ვულგატის (ლათ. სიტყვიდან Vulgata – ყველასათვის მიღებული, ყველგან გავრცელებული) სახითაა დაკანონებული. ეს თარგმანი წმ. იერონიმემ პაპი დამასუს I-ის დაკვეთით IV-V საუკუნეების მიჯნაზე შეასრულა. 1546 წელს ტრიდენტის მსოფლიო საეკლესიო კრებამ ვულგატა ბიბლიის ოფიციალურ კანონიკურ თარგმანად აღიარა. რაც შეეხება, წმინდა გადმოცემას, იგი მოიცავს რწმენის სიმბოლოებს (Credo), სამოციქულო წესებს, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს,² ძველ სარწმუნოებრივ დოკუმენტებს. კათოლიკური ტრადიცია გულისხმობს ეკლესიის მამებისა და მასწავლებლების, ასევე პაპების დეკრეტალებს (რომის პაპის დადგენილებებს წერილის/გზავნილის სახით). ღმერთკაცის იდეა, როგორც კაცობრიობის მხსნელისა, რომელიც სიკვდილის შემდგომ გადარჩენის იმედს ნერგავდა ხალხში, ქრისტიანული მოძღვრების ქვაკუთხედად იქცა.

რომის ეპისკოპოსი

ქრისტიანობას I საუკუნეში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული საეკლესიო მოწყობა, იერარქია, წოდებები. სამღვდელოების ფუნქციას მოციქულები, წინასწარმეტყველები, მქადაგებლები, ქარიზმატული ადამიანები ასრულებდნენ.³ II საუკუნის მეორე ნახევრიდან ქრისტიანული თემების მართვა ძირითადად პრესვიტერების ხელში გადადის. პრესვიტერები იყვნენ თემის უზუცესები (ასაკობრივად ან თემში ყოფნის სტაჟით). ეს უკანასკნელები ძირითადად სამეურნეო მხარეს განაგებდნენ, ტრაპეზობებს აწყობდნენ – აღაპებს (სიყვარულის საღამოებს). თემის წევრებს ტრაპეზის დროს დიაკვნები ემსახურებოდნენ. შემდგომ, თემის ზრდასთან ერთად, გაჩნდნენ სალაროს გამგებლები, მეთვალყურე-ეპისკოპოსები. ეპისკოპოსები თემის ყველაზე მდიდარი წარმომადგენლები ან უზუცესები ხდებოდნენ, ისინი პასუხს აგებდნენ

2. კათოლიკური ეკლესია აღიარებს 21 მსოფლიო საეკლესიო კრებას, მართლმადიდებლურისაგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს მხოლოდ 7 მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს.

3. ამგვარი მასწავლებლების შესახებ მოგვითხრობს ჰერმას აპოკრიფი „იმწყემსი“, რომელიც II საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა.

ტრაპეზობისთვის გამოყოფილი სურსათისა და ფულის საკითხებზე. ასე შეიქმნა საეკლესიო ორგანიზაცია ეპისკოპოსით სათავეში.

დროთა განმავლობაში ეპისკოპოსი სამეურნეო საქმეების გამგებლობიდან სულიერი, რწმენის მასწავლებლის ფუნქციასაც ითავსებს. ეპისკოპოსი მწყემსი (pastor) ხდება. ეს ევოლუცია აისახა აგრეთვე სიტყვა ეკლესიის (ecclesia) გაგებაშიც. ამ სიტყვის ქვეშ თავდაპირველად იგულისხმებოდა თემი, ქრისტიანთა კრებული, ხოლო შემდეგ უკვე გარკვეული ინსტიტუცია. ეკლესიის ქონებაც თემიდან ეპისკოპოსის ხელში გადადის. ეპისკოპოსი არის „ღვთის წარმომადგენელი“; მას არ აქვს უფლება ეს ქონება მემკვიდრეების გადასცეს, მისი სიკვდილის შემდეგ ქონება საეპისკოპოსოს, მომავალ ეპისკოპოსს რჩება. ეკლესიას უკვე აქვს უძრავი და მოძრავი ქონება. ეკლესია სერიოზული მიწათმფლობელი ხდება, განსაკუთრებით ძლიერი კი – რომის ეპისკოპოსი.

პაპობის (რომის ეპისკოპოსთა) ისტორია საეპისკოპოსო ეკლესიის წარმოქმნიდან და საერთოდ, ეპისკოპოსის ინსტიტუტის წარმოშობიდან იწყება.

ეკლესიის ისტორიკოსები პაპობის წარმოშობას I საუკუნის 30-იანი წლებით ათარიღებენ. გადმოცემის მიხედვით, სწორედ ამ დროს პეტრე მოციქული რომში ქრისტიანულ თემს აყალიბებს და თავადვე ხდება რომის პირველი ეპისკოპოსი.⁴ ამავდროულად ხმელთაშუაზღვისპირეთის ქრისტიანთა შორის გავრცელდა ლეგენდა იმის შესახებ, რომ რომში, ვატიკანის ბორცვზე მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა პეტრე მოციქული. რომშივე დაიღუპა პავლე მოციქულიც,⁵ ქრისტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა.⁶ ის ფაქტი, რომ პეტრე და პავლე მოციქულები, ქრისტეს უსაყვარლესი მოწაფეები, ორივენი სწორედ რომში მოღვაწეობდნენ და აღესრულნენ, საფუძვლად დაედო იმ მოსაზრებას, რომ სწორედ რომის ეპისკოპოსები შეიძლება ყოფილიყვნენ ქრისტიანობის ქვეყნარბი სწავლების, გზის ღირსეული გამგრძელებელნი.

4. თუმცა პეტრე მოციქულის რომში ყოფნის შესახებ ცნობები I საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება.

5. შემდეგ ამ ადგილას კონსტანტინე დიდი (306-337) ბაზილიკას ააშენებს ორივე მოციქულის საპატივცემულოდ.

6. რომის ხანძრის შემდგომ, 64 წელს იმპერატორი ნერონი (54-68) ქრისტიანთა დევნას იწყებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ წელს იღუპება ორივე მოციქული.




ტერტილიანე
(155/165-220/240,
ახალი დროის გრავიურა)

II-III საუკუნეებში, როდესაც თავად ქრისტიანული მოძღვრების წიაღში მიმდინარეობდა ე.წ. ქრისტოლოგიური დავები, საეკლესიო ავტორიტეტის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ამავე პერიოდში ღვთისმეტყველები ტერტილიანე (155/165-220/240), ირინეოსი (დაახლ. 130-202) და კიპრიანე კართაგენელი (გარდ. 258) ხაზს უსვამენ რომის კათედრის, როგორც „სამოციქულო ტახტის“, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ავტორიტეტს. რომის ეპისკოპოსმა მარცელინემ (296-304) პირველად შემატა რომის ეპისკოპოსებს „პაპის“ ტიტული (ბერძნულად *papas* მამას ნიშნავს), რომელიც მან აღმოსავლეთიდან ისესხა, სწორედ ასე ეძახდნენ ეპისკოპოსებს აღმოსავლეთში.

ქრისტიანული ეკლესიის მონარქიული მოწყობის პრინციპზე საუბრისას კათოლიკური თეოლოგია ძირითადად მათეს სახარებას ეყრდნობოდა. მათეს მიხედვით, როდესაც იესო მოწაფეებთან ერთად კესარიაში იმყოფებოდა, მდინარე იორდანეს ნაპირებზე, სიმონს უთხრა: „და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათისანი, და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყო იგი ცათა შინა.“ (მათე, XVI, 18-19).

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ეკლესია ავტორიტეტული ხალხისგან შედგება. ეს ავტორიტეტია სწორედ კლდე-პეტრე,



პაპის ტახტის გერბი

რომელიც ეკლესიის თავია. ხოლო „კლიტენი სასუფევლისა“ სიმბოლურად ძალაუფლების სიმბოლოა, ეკლესიის გასაღები მას გადაეცა, ვისიცაა ეს სახლი – ეკლესია. ავტორიტეტი, რომელიც ამ გასაღებს ფლობს, არის პეტრე და მისი მემკვიდრეები – პაპები.

სხვა საქრისტიანო ცენტრებზე რომის კათედრის პირველობის იდეა და, აქედან გამომდინარე, რომის ეპისკოპოსთა განსაკუთრებული მნიშვნელოვნების დოქტრინა მოგვიანებით, მხოლოდ IV-V საუკუნეებში მკვიდრდება. ამ პერიოდში პაპობა, როგორც განსაკუთრებული ინსტიტუცია, უკვე ჩამოყალიბებულია.

რომის ეპისკოპოსები I-III საუკუნეებში, ქრისტიანთა დევნა

პეტრეს რომაულ მოღვაწეობას უკავშირდება შესანიშნავი ლეგენდა “Quo vadis?” (ვიდრე ჰხვალ?). იმპერატორ ნერონის დევნისგან თავის დასაღწევად პეტრე გადაწყვეტს რომის დატოვებას. ღამე იგი აპიას გზას დაადგება, ქალაქის კარებთან Via Appia-ზე იგი იესოს შეხვდება, რომელიც ქალაქისკენ მოდიოდა ჯვარაკიდებული. “Domine, quo vadis?”, ჰკითხავს ის ქრისტეს; ამაზე იესო პასუხობს: „მე კვლავ მოვედი რომში, რათა ხელახლა ვეცვა ჯვარს“. პეტრე მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, შერცხვა და უკან გატრიალდა. სწორედ ამ ადგილას არის აგებული ცნობილი კაპელა “Quo vadis”.



წმ. პეტრე, წმ. ეკატერინეს
მონასტერი (სინას მთა, VI ს.)

პირველი სამი საუკუნის რომის ეპისკოპოსებზე ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ვიცით მხოლოდ სახელები, რომლებიც პაპის კათალოგებშია შემონახული. რომის პაპთა მოღვაწეობის ამსახველი კრებულთა Liber Pontificalis (ყველაზე ადრეული ვერსია – Catalogus Felicianus – VI-VII საუკუნეებით თარიღდება) მოგვიანებით შეიქმნა.

I-III საუკუნეები არის კატაკომბების, წამებულთა და მოციქულთა ეპოქა. პეტრედან მილთიადემდე (314 წელი) 32 რომის ეპისკოპოსი ყოფილა. აქედან 30 მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა, ორი კი – გადასახლებაში.

რომის ეპისკოპოს ევარისტუსზე (97-105) ცნობილია, რომ იგი იყო მთელი რომაული თემის არჩეული. პირველ საუკუნეებში რომის ეპისკოპოსს სასულიერო პირებთან ერთად უბრალო მრევლიც ირჩევდა. აუცილებელი პირობა იყო: ეპისკოპოსად უნდა აერჩიათ ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენელი.

რომის ეპისკოპოსი ვიქტორ I (189-199), რომელიც იმპერატორ სეპტიმიუს სევერის (193-211) დროს აირჩიეს, დამოუკიდებელ მმართველობას აწარმოებდა. ვიქტორი იბრძოდა იმისათვის, რომ ქრისტიანული აღდგომა ებრაულს არ დაკავშირებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი აშკარად ილაშქრებს აღმოსავლური ეკლესიის წინააღმდეგ. რომსა და ზოგადად, დასავლეთში პა-



აპიას
გზა

რასკევს, რომელიც 14 ნისანს (აპრილს) მოსდევდა, აღნიშნავდნენ დიდ პარასკევს (იესოს ჯვარცმის დღე), ხოლო კვირა დღეს – აღდგომას. აღმოსავლეთში კი 14 ნისანს აღნიშნავდნენ აღდგომას პასექის დღესასწაულს. ვიქტორმა რომში სინოდი მოიწვია, რომელსაც როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სასულიერო წოდების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღმოსავლური ეკლესიის პოზიციას ეფესოელი პოლიკრატი იცავდა. ვიქტორმა დაადგინა აღდგომის აღნიშვნის დასავლური ვერსია (14 ნისანის შემდგომ კვირადღე), თუმცა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე ეს წესი ვერ გაავრცელა, მცირეაზიულმა ეკლესიებმა საკუთარი ტრადიცია შეინარჩუნეს და აღდგომას კვლავ 14 ნისანს აღნიშნავდნენ.⁷

რომის ეპისკოპოსმა კალიქსტ I-მა (217-222) ნათლობის საიდუმლო დაამკვიდრა. ნათლობამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქრისტიანულ აღმსარებლობაში. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ამ რიტუალს მეორედ დაბადება, სულიერი აღორძი-

7. ვიქტორ I ებრძოდა მონარქიანელებსაც, რომლებიც სამების იდეას უარყოფდნენ და ღვთის აბსოლუტურ ერთიანობას ქადაგებდნენ. მონარქიანელთაგან ერთნი ქრისტეს ღვთიურ ბუნებას უარყოფდნენ, მასში მხოლოდ ადამიანს ხედავდნენ, რომელშიც ღვთიური ძალა მოქმედებდა. ასეთ მონარქიანელებს დინამისტებს (მოგვანებით – ადოპციანელებს) უწოდებდნენ. მონარქიანელების მეორე ფრთა ქრისტეში ღმერთს, უფრო მეტიც, თავად მამა-ღმერთის განსხვულებას ხედავდა. მათ პატრიპასიანელებს უწოდებდნენ (patris-passio).

ნება მოჰქონდა. კალიქსტ I-ის ეპისკოპოსობის დროსვე დადგინდა წმინდა წიგნების ნუსხა, რომელთა შინაარსიც კანონიკურად გამოცხადდა (მანამდე წმინდა წიგნად მხოლოდ ძველი აღთქმა ითვლებოდა). ახალ აღთქმაში ოთხი სახარება შევიდა, პავლეს, პეტრეს, იოანეს წერილები და სხვა წმინდა წიგნები. კალიქსტს უპირისპირდებოდა რომში მოღვაწე ცნობილი ქრისტიანი მწერალი და ფილოსოფოსი იპოლიტე (დაახლ. 170-235). ეს უკანასკნელი მისმა მომხრეებმა ეპისკოპოსადაც კი გამოაცხადეს (იგი პირველ ანტიპაპად ითვლება). იპოლიტე კალიქსტს ცოდვილთა მიმართ ზედმეტ ღმობიერებაში დებდა ბრალს, განსაკუთრებით კი სასულიერო წოდების წარმომადგენელთა უსაქციელობის, კერძოდ, ცელიბატის⁸ უგულვებელყოფასთან მიმართებაში. იპოლიტე კალიქსტს მწვალებლობაშიც ადანაშაულებდა, თვლიდა, რომ იგი უფლის ღვთიურ ბუნებას აკნინებდა.⁹

რომის იმპერატორი დეციუსი (249-251) ქრისტიანებს სახელმწიფოსათვის საშიშო ძალად მიიჩნევდა. მან ქრისტიანებს სახელმწიფო ღვთაებებისათვის მსხვერპლის შეწირვა დაავალა, რის შემდგომაც ისინი სპეციალურ დოკუმენტს, libellus-ს მიიღებდნენ. იმ ქრისტიანებს, რომლებმაც ბრძანება შეასრულეს, დაცემულ (lapsi) ქრისტიანებს უწოდებდნენ. ამგავრი ქრისტიანების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ეკლესიის შიგნით. რომის ეპისკოპოსი სტეფანე I (254-257) დაცემულ ქრისტიანთა მიმართ ლოიალობით გამოირჩეოდა. ამ თემაზე ვნებათა ღელვამ ქრისტიანთა მიმართ დევნის შესუსტებასთან ერთად იკლო.

თუმცა, იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს (284-305) ქრისტიანთა დევნის ახალი ტალღა დაიწყო. რომის იმპერიაში იმპერატორი ღმერთად ცხადდებოდა, ოღონდ გარდაცვალების შემდეგ. დიოკლიტიანე მოითხოვდა, რომ მისთვის სიცოცხლეშივე მიეგოთ ღვთაებრივი პატივი. მან ჯარიდან დაითხოვა ქრისტიანი ჯარისკაცები, შემდგომ ბრძანა ეკლესიების დანგრევა, აკრძალა ქრისტიანთა შეკრებები, მოსთხოვა ქრისტიანებს საკუთარ მრწამსზე უარი ეთქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მოქალაქეობის ჩამორთმევით დაემუქრა. ქრისტიანებს სასტიკად უსწორდებოდ-

8. ცელიბატი – ეკლესიის მსახურთათვის ქორწინების აკრძალვა; სიტყვა caelebs ლათინურად დაუქორწინებელს ნიშნავს. დოგმად იგი მხოლოდ XIII საუკუნეში ჩამოყალიბდა.

9. კალიქსტის შესახებ ცნობებს გვაწვდის იპოლიტეს თხზულება “Philosophumena”.